ჩემპიონატი

თბილისის “დინამომ” კვლავ წააგო მატჩი

(კიევი, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

20 ივნისს **თბილისისა და კიევის “დინამოს”** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა კიევში ჩაატარეს მე-8 კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე.

კიევის დინამოელები საფეხბურთო მოედანზე გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით. თბილისის “დინამოს” შემადგენლობაში იყვნენ: მეკარე – დოროხოვი, დამცველები – შავგულიძე და გაგუა, ნახევარდამცველები – ჯორბენაძე, ფროლოვი და ჭელიძე, თავდამსხმელები – ჯეჯელავა, პაიჭაძე, ბერეჟნოი (ცენტრი), ჯორჯიკია და ხარბედია. ორივე გუნდმა თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით. ხშირი იყო მოწინააღმდეგეთა კარის მოედნებზე კრიტიკული მომენტები, მაგრამ უშედეგოდ – პირველ ხუთწუთიან ბრძოლას მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეუცვლია – 0:0. მე-7 წუთზე კარის წინ შექმნილი კრიტიკული მომენტისაგან თვის დასაღწევად გაგუა ბურთს აწვდის დოროხოვს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ ახერხებს მის დაჭერას და თბილისელებს თავისავე კარში გააქვთ პირველი ბურთი.17-ე წუთზე ჯეჯელავა მოხერხებულად უსხლტება მოწინააღმდეგის დაცვის ხაზს და ათანაბრებს ანგარიშს.

პირველი ტაიმის 28-ე და 38-ე წუთზე კომაროვს და პაიჭაძეს გააქვთ თითო ბურთი.

შეჯიბრების პირველი ნახევარი მთავრდება ფრედ – 2:2.

მეორე ტაიმში თბილისელებს ჰქონდათ ბურთის გატანის მრავალი შესაძლებლობა, მაგრამ ამჯერადაც დაკარგეს. 29-ე წუთზე ლაიკოს ძლიერი დარტყმით გააქვს ბურთი, ტაიმის ბოლომდე ანგარიში არ შეცვლილა.

თბილისელებმა კვლავ წააგეს მატჩი ანგარიშით – 2:3.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 21 ივნისი, 1939 წ.